



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე №015/10

1. ფაქტები

ადვოკატი ზ. კ. იცავდა მისი მეუღლის, ზ. ლ. ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატმა ზ.კ.-მ დაარღვია ეთიკური ნორმები, რის გამოც იგი ჩამოაცილეს საქმის წარმოებას. ადვოკატი ზ. კ. ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი პირის ზ. ლ., რ. ტ. და გ. ქ. ინტერესებს. განსასჯელმა ზ. ლ.-მ გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც დაადანაშაულა რ. ტ.-ს და გ. ქ.-ს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. განსასჯელებმა რ. ტ. და გ. ქ. გამოძიებას მისცეს ჩვენებები, რომლთა მიხედვითაც ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო საქმეში. ადვოკატმა ზ.კ.-მ უარი თქვა რ. ტ. და ზ. ლ. ინტერესების დაცვაზე და განაგრძო გ. ქ.-ს ინტერესების დაცვა. განსასჯელებს რ. ტ. და ზ. ლ. 2009 წლის 8 ოქტომბერს დაენიშნათ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

2. პროცესუალური ისტორია

2010 წლის 3 მარტს საქართველოს მოქალაქე ი. გ. მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ზ.კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კომისიამ 2011 წლის 24 იანვარს გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. კ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ზ. კ. მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა ადვოკატის ახსნა-განმარტება და თვლის, რომ ადვოკატ ზ. კ. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ; ასევე, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ზ.კ. წარმოადგენდა და იცავდა სამი პირის ინტერესებს ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა იმ



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დროიდან, როდესაც მისმა კლიენტებმა გამოძიებას მისცეს განსხვავებული ჩვენებები, კერძოდ ერთ-ერთმა კლიენტმა (ზ. ლ.) მისცა აღიარებითი ჩვენება და დაადანაშაულა მისი ორი კლიენტი (რ. ტ. და გ. ქ.) დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. მეორე მხრივ, გ. ქ. და რ. ტ. მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით, ზ. ლ. ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო აღნიშნულ საქმეში. ადვოკატი ზ. კ. ვალდებული იყო შეეწყვიტა სამივე კლიენტის დაცვის განხორციელება, რადგან მათ მიერ განსხვავებული ჩვენებების მიცემამდე იგი წარმოადგენდა სამივე კლიენტის ინტერესებს და ფლობდა სამივე მათგანისაგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად არ ჰქონდა უფლება, გაეგრძელებინა მხოლოდ ერთი კლიენტის დაცვა, ვინაიდან ამით რეალური საფრთხე შეუქმნა დაცვის გარეშე დარჩენილი ორი პირის ინტერესებს.

ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების ვალდებულება, რადგან არ ჰქონდა უფლება, გაეგრძელებინა მხოლოდ ერთი კლიენტის დაცვა, ვინაიდან ამით რეალური საფრთხე შეუქმნა დაცვის გარეშე დარჩენილი ორი პირის ინტერესებს.

შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ნდობის პრინციპი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ექვევებო დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

ადვოკატის გადაწყვეტილება იმავე საქმეში ერთ-ერთი კლიენტის ადვოკატად დარჩენის თაობაზე წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის სახით და რისკის ქვეშ აყენებდა ადვოკატის მიერ დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. ვინაიდან, ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია. მართალია, საქმეში მოცემული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ადვოკატის მიერ მისი ყოფილი კლიენტებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, თუმცა რეალური საფრთხის შექმნა წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპი დარღვეულად ჩაითვალოს. ადვოკატმა დაარღვია ნდობის პრინციპი, რადგან ადვოკატმა შექმნა რეალური საფრთხე იმისა, რომ დარჩენილი ორი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნებულიყო.